



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების  
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 4 22 0000118573



07/02/2022

„სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის  
„კრივის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების  
მინიჭების შესახებ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის  
განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392920  
გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. განხორციელდეს ცვლილება „სსიპ კოლეჯი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „კრივის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ“ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2021 წლის 20 დეკემბრის №1392920 გადაწყვეტილებაში, კერძოდ

**ა) გადაწყვეტილების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „კრივის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ.

**ბ) გადაწყვეტილების პრემბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად.

2. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2022 წლის 7 თებერვლის №118146 ოქმის 6.4 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების  
მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ზაქარეიშვილი მარიკა

